

თემის მოსახლეობის კატასტროფებისთვის
მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა

ყ ვ ა რ ე ჯ ი

თბილისი 2014


შესავალი

უკანასკნელ წლებში კახეთის რეგიონში გააქტიურებული ბუნებრივი კატასტროფები და მათგან გამოწვეული უარყოფითი შედეგები მხარის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად განიხილება.

სპეციალისტების მოსაზრებით, კატასტროფების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა ფაქტორთა კომპლექსითაა განპირობებული, რომელთა შორისაც აღსანიშნავია:

- გლობალური დათბობა და ჩვენი ქვეყნისთვის უკვე საგრძნობი კლიმატის ცვლილება;
- დაბალი ეკოლოგიური ცნობიერება და გარემოზე ზემოქმედების მზარდი მასშტაბები.

ამ თვალსაზრისით, თემის მოსახლეობის კატასტროფებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის არსებობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რათა მოსახლეობა მზად შეხვდეს თემისთვის დამახასიათებელ კატასტროფებსა და იცოდეს, თუ რა უნდა გააკეთოს, სად წავიდეს და ვის მიმართოს კატასტროფის დადგომამდე, კატასტროფის დროს და მის შემდეგ.



ყვარლის მუნიციპალიტეტი

ზოგადი ცნობები:

ადმინისტრაციული ცენტრი: ქალაქი ყვარელი;

ფართობი-1000,8 კმ²;

კლიმატი - სუბტროპიკული ზონა;

მოსახლეობა სულ - 42 348 კაცი; აქედან ქალაქ ყვარელში - 11 448 კაცი; სოფლებში - 30 900 კაცი;

წყლის ძირითადი არტერიები - ძირითადი მდინარეები: ალაზანი, ინწობა, დურუჯი, ჩელთი, ბურსა;

მანძილი დედაქალაქამდე - 134 კმ;

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა: ქართველი - 99,5%; სხვა - 0,5%;

ყვარლის ტერიტორიაზე მოსალოდნელია შემდეგი რისკები: წყალდიდობა, მიწისძვრა, ქარიშხალი, სეტყვა, გვალვა, ხანძარი (მინდვრების, ტყის).

ბუნებრივი პირობების მოკლე დახასიათება

კლიმატი - კლიმატი _ სუბტროპიკულია. საშუალო წლიური ტემპერატურაა დაახლოებით 12.50 C, შესაძლებელი მაქსიმუმია 380 C ,ხოლო შესაძლებელი

მინიმუმი -230 C. ქარის ენერგეტიკული რესურსი (1000კვტ/სთ 1 კმ2-ზე) ნალექების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 950 მმ-ია, მაქსიმუმი _ 1100 მმ, მინიმუმი _ 800 მმ.

ქალაქი ყვარლის – განსახლების ტიპი

ქალაქი ყვარელი მოქცეული მდინარე დურუჯსა და მდინარე ბურსას შორის. ქალაქში საცხოვრებელი სახლების უმეტესობა ტიპიური 1 ან 2 სართულიანი კერძო სახლებია, ასევე გვხვდება რამოდენიმე მაღალსართულიანი შენობა-ნაგებობები. დაკვირვება გვიჩვენებს რომ საცხოვრებელი სახლების უმეტესობა აშენებული არის წინა საუკუნეში 60-80იან წლებში ცემენტით, აგურით, ბლოკებითა და ხით. მოსახლეობიდან და სამუშაო შეხვედრების მონაწილეებისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ქალაქში გვხვდება სამეურნეო მიწის ნაკვეთები.


ქალაქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი შენობებიდან წარმოდგენილია საავადმყოფო, აფთიაქები, კულტურის სახლი, მუზეუმი, სპორტდარბაზი, საპატრულო პოლიცია და სხვ.

ხიფათები

ყვარელში ბუნებრივი სტიქიური მოვლენების (წყალდიდობა, ძლიერი წვიმა, სეტყვა, ქარიშხალი, მიწისძვრა, გვალვა, მეწყერი) შედეგად ყოველწლიურად ზარალდება მოსახლეობა, სახლები, გზები და ხიდები. ბუნებრივი სტიქიების გააქტიურების მიზეზი არის ტემპერატურის სწრაფი მატება, კოკისპირული წვიმები და თოვლის სწრაფი დნობა. ასევე მოსახლეობის მიერ ბუნებრივი რესურსების დიდი რაოდენობით მოხმარება მაგალითად წლების მანძილზე მიმდინარეობს ტყეების ჩახვა, რის გამოც მატულობს ბუნებრივი კატასტროფების რისკი. (მეწყერი, წყალდიდობა)

სამუშაო პროცესში სამიზნე ტერიტორიაზე არსებულ ძირითად ხიფათებად მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად და სამუშაო ჯგუფის მონაწილეების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასახელდა:

- წყალდიდობა;
- ძლიერი წვიმა, სეტყვა (ქალაქის დატბორვა);
- ქარიშხალი



ქალაქი ყვარლის კატასტროფის რისკის ქვეშ არსებული ტერიტორიები

1. ნეკრესის მიმდებარედ დასახლებული ტერიტორია - ქარიშხალ საშიში;
2. ჭავჭავაძის ქუჩა - დატბორვის საშიშროება;
3. კაზარმის ტერიტორია - დატბორვის საშიშროება;
4. დურუჯის ქუჩა - დატბორვის საშიშროება;
5. მეურნეობის დასახლება - დატბორვის საშიშროება;
6. მეურნეობის დასახლება - მიწისძვრის დროს ნგრევის საშიშროება;
7. ჭავჭავაძის ქუჩა - მიწისძვრის დროს ნგრევის საშიშროება;

ქალაქი ყვარლის მთავარი შესაძლებლობები

1. ჯანდაცვის ობიექტები;
2. სამართალდამცავი ორგანოები;
3. სახანძრო-სამაშველო სამსახური;
4. კვების ობიექტები;
5. სასურსათო მაღაზიები;
6. სააფთიაქო ქსელი;
7. მოხალისეები.



კატასტროფების დროს მთავარი მორეაგირებები

1. ქ. ყვარლის გამგეობა;
2. ქ. ყვარლის საკრებულო;
3. სახანძრო-სამაშველო სამსახური;
4. სასწრაფო დახმარების ბრიგადები;
5. პოლიცია;
6. მაშველები;
7. თემისა და სწჯს-ის მოხალისეები;
8. მოსახლეობა.



ყველაზე დაცული/უსაბრთხო ადგილები

1. სტადიონი და სხვა ფართოდ გაშლილი ადგილები - მიწისძვრის დროს;
2. გვირაბი - მიწისძვრის დროს;
3. ილიას გორა - წყალდიდობის დროს;
4. შემაღლებული ადგილები - წყალდიდობის დროს;

ყველაზე დაუცველი ჯგუფები

1. შეზღუდული შესაძლებლობების პირები;
2. ბავშვები;
3. მოხუცები.

ნაბიჯები უსაფრთხოებისათვის:

1. მიიღეთ ინფორმაცია მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ;
2. დაურეკეთ რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს, მაშველთა სამსახურს ან წითელ ჯვარს;
3. იკითხეთ, როგორი ტიპის კატასტროფებია დამახასიათებელი თქვენი დასახლებისათვის და როგორ უნდა მოემზადოთ თითოეული მათგანისათვის;
4. შეისწავლეთ თქვენი თემისათვის გამაფრთხილებელი სიგნალები – თუ როგორ ჟღერს ისინი და რა უნდა მოიმოქმედოთ თითოეული მათგანის გაგონებისას;
5. იკითხეთ თქვენი თემის რეაგირებისა და ევაკუაციის გეგმების შესახებ და შეისწავლეთ სამოქმედო ინსტრუქცია;
6. შეამოწმეთ საგანგებო სიტუაციების გეგმის ხელმისაწვდომობა თქვენს სამსახურში და სკოლაში, სადაც თქვენი ბავშვები სწავლობენ;
7. მოამზადეთ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა და განიხილეთ თქვენს ოჯახთან ერთად. აუხსენით თქვენს ბავშვებს მიწისძვრის, წყალდიდობის ან მკაცრი ამინდით გამოწვეული საფრთხის შესახებ. გაანაწილეთ პასუხისმგებლობა თქვენი ოჯახის წევრებს შორის.



გახსოვდეთ! აუცილებლად უნდა გამორთოთ ყოველდღიური საოჯახო ელექტრომოწყობილობები. თუ ეჭვობთ, რომ ისინი დაზიანდა, ან თუ იცით ამის შესახებ გახსოვდეთ, რომ მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია ჩართოს ისინი კვლავ. განიხილეთ, რა ტიპის კატასტროფებია უფრო ხშირი თქვენი დასახლებისათვის და აუხსენით ოჯახის წევრებს, თუ რა მოიმოქმედონ მათი მოახლოებისა და დადგომის შემთხვევაში. წინასწარ შეარჩიეთ ორი უსაფრთხო ადგილი, სადაც შეგიძლიათ შეხვდეთ ერთმანეთს:

7.1. თქვენი სახლის წინ, უეცარი საგანგებო სიტუაციის დროს, მაგალითად, ხანძრის შემთხვევაში

7.2. მეზობელ ეზოში, თუ ვერ შეძლებთ სახლში დაბრუნებას. სთხოვეთ სხვა თემში ან სხვა ქალაქში მცხოვრებ მეგობარს, იყოს თქვენი ოჯახის “საკონტაქტო” პირი, რადგან კატასტროფების შემდეგ, ხშირ შემთხვევაში,

უფრო ადვილია დარეკოთ შორეულ დასახლებაში. თქვენი ოჯახის წევრებმა ხშირად უნდა დაურეკონ ამ პირს და აცნობონ თავიანთი ადგილმდებარეობის შესახებ. ყველა წევრმა უნდა იცოდეს მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი მუდმივი კონტაქტის შესანარჩუნებლად განიხილეთ, თუ რა უნდა გააკეთოთ ევაკუაციის დროს. განსაზღვრეთ, როგორ უნდა იზრუნოთ შინაურ ცხოველებზე.

შეავსეთ და დაურიგეთ თქვენი ოჯახის წევრებს საგანგებო სიტუაციების საოჯახო გეგმა;

7.3. განახორციელეთ შემდეგი ქმედებები:

იქონიეთ საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო სატელეფონო ნომრები (სახანძრო, პოლიცია, საგანგებო სიტუაციების სამსახური, სასწრაფო დახმარება, სხვა...);

ასწავლეთ ბავშვებს, როგორ დარეკონ საგანგებო სიტუაციების სამსახურში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში, სახანძრო სამსახურში და სხვა...



აჩვენეთ თქვენი ოჯახის წევრებს, თუ როგორ უნდა გამორთონ გაზი, წყალი და ელექტროენერჯია ძირითადი უსაფრთხოების საკეტიდან;

ასწავლეთ თქვენი ოჯახის წევრებს ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის გამოყენება და მისი ადგილმდებარეობა;

შეარჩიეთ უსაფრთხო ადგილები სახლში თითოეული ტიპის კატასტროფისათვის. მოამზადეთ ჩანთა საგანგებო სიტუაციებისათვის ყველა საჭირო ნივთით;

მიიღეთ მონაწილეობა პირველი დახმარების სემინარებში, რომლებიც ორგანიზებულია წითელი ჯვრის ან/და სხვა შესაბამისი დაწესებულების მიერ.

განსაზღვრეთ თქვენი სახლიდან საუკეთესო საევაკუაციო გზები. სახლში განსაზღვრეთ უსაფრთხო ადგილები.

გაათავისუფლეთ ოთახის კარი და შემოსასვლელი დიდი ზომის ნივთებისაგან.

